ბრძანება:**ბ135. 135250351**
თარიღი:**04/02/2025**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის განვითარების კომისიის თავმჯდომარის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2025 წლის 28 იანვრის (N 01/1/114) წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მივლინებულ იქნას, ქ. **ზუგდიდში** კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვედეთის და შვეიცარიის მთავრობების დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - **,,კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში"** ფარგლებში 2025 წლის 05 თებერვალს დაგეგმილ ერთდღიან ტრენინგზე დასწრების მიზნით მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის განვითარების კომისიის თავმჯდომარე, ბაჩუკი ნაკანი, 1 (ერთი) დღის ვადით ა/წლის 05 თებერვალს.

2. განისაზღვროს ავტომობილ **„TOYOTA LANDCRUISER''-**ზე, სახელმწიფო ნომრით: **TI-559-ZT,** მესტია-ზუგდიდი–მესტია მგზავრობისთვის საჭირო ბენზინი 80 ლიტრით.

3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს ერთი დღის მივლინების ხარჯის ანაზღაურება.

4. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს საჭირო საწვავის შესყიდვა.

5. მიღებული ბრძანების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).**

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი